


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში,
ბოგბოგ ბეჭდუდი სიფყვას,
ცყილებით და ჭბრბით ბუბთის
გაფანა ყულა უჯადისდბაჟე
უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.
სამშაბათი, 27 აგვისტო, 2013 წელი.
№163 (7290)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

**სამხრეთ ოსეთის და ფაქტო ხელისუფლება
პირ ხვდება, რომ ოსეთს დაკარგავს...**



3

**„დამოუკიდებელი“
თიბილოში რუსეთთან
შეერთებაზე ოცნებობს!**

**დედაენა
და უცხო
ენანი 7**



**ყურადღებას ვთხოვთ განათლების
მინისტრს და არა მხოლოდ მას**

*ყოვლად დაუშვებელია პირველ
კლასში დედაენის ხარჯზე (მას-
თან ერთად) უცხო ენის სწავლება.*

**სერბები ლაპროვმა ბიძინა
ივანიშვილის განცხადება
არასწორად გაიგო 2**

ვიღონიუსის სამიგის მოლოდინში

**საბჭოური 5
ცენტრალიზმის
შივი დღესაც
დამთრგუნველია!**

ჩვენებურები



11

**სერბი
ჭონიშვილი:**

**ცოტა ფული
საბაბი
არ არის,
უარი თქვა
საინტერესო
სამუშაოზე**

**მინის ნაკვეთებზე საქართველის
უფლების აღიარება იწყება 3**

**9 თბილისის ქუჩებში
რეიდები გახშირდება**

4 სიბჟა თემიდან ეკუთვნის

**არ გამოვრჩეთ ალამ ჯემსონის
ბედნიერების ათი მუღამი 6**



**მამალი და ძაღლი
დაქმობილდნენ... 9**

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამან ვერ ნახავ!..

5 მილიონი დოლარის ზედი...

„ბტა“ ბანკის ექსპლემდგანელის მუხტარ აბლიაზოვის საქმეში ახალი შემობრუნებაა. საფრანგეთის ქალაქ ექს-ან-პროვანსის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო პალატამ უარი განაცხადა, დაეკმაყოფილებინა მისი შუამდგომლობა გათავისუფლების შესახებ. ამ დროს, ყაზახეთის ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი სთხოვს საფრანგეთის ხელისუფლებას, მოაწილოს სასამართლო თაღლით ბანკირზე ევროპაში. ყაზახეთში მოპარული ხუთი მილიარდი დოლარის ზედი მათ, როგორც ჩანს, სულაც არ აინტერესებთ, წერენ ყაზახეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.



სიტყვა თაქიდას აკუთვნის

პარტია მხარს უჭერს ხელისუფლებას გაქცეული ბანკირის დევნაში. ხუთი მილიარდი დოლარი, რომელიც ქვეყნიდანაა გატანილი, საფრანგეთის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ ეკონომიკურ სტაბილურობას, არამედ, და რაც მთავარია, სოციალურ სტაბილურობას, დღეს უდიდესი ბანკი ბტა კი გაკოტრების პირამდე იქნა მიყვანილი.

უნდა დაფიქსირდეს, რომ ოპოზიციონერი ხდება პრაქტიკულად ყაზახეთიდან გამოქცეული ყველა ჩინოვნიკი ან ბიზნესმენი. მათი ოპოზიციონერობის ხარისხი და კრიტიკის მოცულობა ყაზახეთის ხელისუფლების მისამართით პირდაპირ უპირისპირდება იმ დანაშაულებათა რიცხვს, რომლებზეც მათ ედება ბრალი. მაგალითად, ყაზახეთის უდიდესი ქალაქის – ალმატის ყოფილი ხელმძღვანელი ვიქტორ ხრაპუნოვი ეჭვმიტანილია მრავალმილიონიან კორუფციულ დატაცებაში. შვეიცარიაში გაქცეული ხრაპუნოვის ოჯახი დღეს აქტიურად აკრიტიკებს ყაზახეთის მოქმედ ხელისუფლებას.

და კიდევ ერთი მაგალითი – ყაზახეთის ყოფილი ელჩი ავსტრიაში რახატ ალიევი. მანაც, როდესაც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა და სარგებლობდა მდგომარეობით, დააგროვა უზარმაზარი ქონება. თანაც, წერენ ყაზახეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არა მხოლოდ ბანალური ქურდობით, არამედ გამოძალკებითაც, მკვლელობებითაც, შანტაჟითა და მრავალი სხვა უკანონო ხერხითაც. და მანაც თავი გამოაცხადა ოპოზიციონერად უმაღლეს, როგორც კი გადაკვეთა ყაზახეთის საზღვარი.

რაც შეეხება აბლიაზოვს, ასტანა, აგრეთვე მოსკოვი და კიევი, ბრალს სდებენ მას თაღლითობაში განსაკუთრებით დიდი მოცულობით. მისადმი პრეტენზიები აქვთ კვიპროსის, უნგრეთის, ლატვიის, ბრაზილიის პროკურატურებსაც. თანაც ყაზახეთის ბრალდებებს თაღლითობაში დაემატა ბრალდებებიც ფულის გათეთრებაში (უკვე ევროპაში).

ბუნებრივია, რომ ასეთი ბრალდებების დროს აბლიაზოვს, უბრალოდ, არ შეეძლო, არ გაეთამაშებინა ერთადერთი ნაუგებელი სვლა – მან გამოაცხადა თავი ხელისუფლების ოპოზიციად.

მით უმეტეს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, როგორც ცნობილია, მეტად ლოიალურად ეკიდებიან პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან გამოქცეულებს, თუ მათ გარდა თავიანთი პოლიტიკური პრეტენზიებისა, თან ჩამოაქვთ ემიგრაციაში თავიანთი დანაშოგები. ასე რომ, საფრანგეთში აბლიაზოვის დაკავება უკრაინის მხარის მოთხოვნით – პრეტენდენტი არა მხოლოდ ყაზახეთისთვის. ეს არის ერთ-ერთი ის უიშვიათესი შემთხვევა, როდესაც ოპოზიციური შირმა არ გეხმარება, რომ დაიმალო.

სხვათა შორის, აბლიაზოვის შემთხვევასთან დაკავშირებით თამაშში ჩაერთვნენ მისი თანამებრძოლები ყაზახეთში. მათი სახელედი იმათ სიაშია, რომლებიც რამდენიმე უკანასკნელი წლის განმავლობაში ფაქტობრივად აბლიაზოვის ხარჯზე იმყოფებიან. მათ აბლიაზოვი „მთავარ ოპოზიციონერად“ გამოაცხადეს და განაცხადეს, რომ მისი დაპატიმრება – „გამოუსწორებელი ზარალია მთელი ყაზახეთის ოპოზიციისთვის“ და „სერიოზული დარტყმა ყაზახეთის დემოკრატიული ძალებისთვის“. ამის შესახებ, კერძოდ, განაცხადა დამოუკიდებელმა ჟურნალისტმა სერგეი დუვანოვმა.

ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა ჟასარალ კუანიშალინმა საერთოდ გამოთქვა განზილება ევროპის ქვეყნების მოქმედებების გამო „ყაზახეთში ოპოზიციის წინააღმდეგ“: „ეს არ არის კარგი სიტუაცია. განსაკუთრებით ის, რომ ევროპა უკანასკნელ ხანებში ავლენს აქტივობას ამ მიმართულებით, ახორციელებს ზომებს ყაზახეთის ოპოზიციის წარმომადგენელთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით საწყენია ის მოქმედებები, რაც აბლიაზოვის წინააღმდეგ ხორციელდება“.

არსებითად, ყაზახი ოპოზიციონერები სთხოვენ საფრანგეთის თემიდას, არ განახორციელოს აბლიაზოვის ექსტრადირება არც უკრაინაში, არც რუსეთში, მით უმეტეს, არც ყაზახეთში (რუსეთმა უკვე ასევე გაუზავა საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნა აბლიაზოვის ექსტრადაციის შესახებ).

მათ რომ გაუგო, არ არის ძნელი. ისინი, ერთი მხრივ, მეტად წარმატებით ამუშავენ საშუალებებს, რომლებიც მათ ემორჩილებიან. მეორე მხრივ, სერიოზულად ეშინათ, რომ ექსტრადაციის შემთხვევაში აბლიაზოვს შეუძლია ლიად დაასახლოს იმათი სახლები, ვინც მისგან ღებულობდა სახსრებს ყაზახეთში, რომ კონსტიტუციური წყობილების დამოხრისკენ აბლიაზოვის მოწოდების გათვალისწინებით შეიძლება მისი ხელშეწყობებიც მიიყვანოს განსასჯელთა სკამზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, დღეს გადამწყვეტილება „სად იჯდომება აბლიაზოვი“, საფრანგეთს რჩება. ეტყობა, პრაქტიკულად თუ გაითვალისწინებთ ბრალდებებს ექსტრადირების წინააღმდეგ, ევროპის ქვეყნები წინააღმდეგობას არ გაუწევნენ მის ექსტრადაციას მოთხოვნის გამომგზავნ ერთ-ერთ ქვეყანაში. ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ ყველაზე სააღბათოა „დანიშნულების ადგილი“ მაინც უკრაინაა.

თემაზე სირაპილაჟი

სახელმწიფო ბიუჯეტი

ბოლო თითქმის ორწლიანი პოლიტიკური ვენებათა დღეა საზოგადოებრივი ცნობების უკლებლივ ყველა სფეროზე, ეროვნული მუშაობების ყველა დარგზე აისახება. ამასთან, ზოგიერთ სფეროზე, მაგალითად, ეკონომიკაზე პოლიტიკური დაპირებისპირების სიმძაფრე აშკარად უარყოფითად მოქმედებს, რაც ქვეყანას სასიკეთოდ არაფერს უქადის.

ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებოა ის გარემოება, რომ, დღესდღეობით არსებული მაკროეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ რთული იქნება წლებიდან წლები სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრების შესრულება, რის შედეგად მეტად საეჭვოა დასახული ეკონომიკური ზრდის ნ-პროცენტიანი დონის მიღწევაც კი.

აგვისტოს შუა რიცხვებში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს თვალს თუ გადავავლებთ, ამჟამინდელი მაჩვენებლები ცხადყოფენ, რომ ბოლო დროს ქვეყნის ეკონომიკაში სიძნელეები კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით წარმოჩინდება. ამის ნათელი დასტურია თუნდაც ეკონომიკური ზრდის მაისის ნულლოვანი მაჩვენებელი, ასევე წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დამატებული ლირებულების გადასახადის (დღგ) ბრუნვის თითქმის ნ-პროცენტიანი კლება.

ექსპერტული შეფასებით, წლის დამლევს საქართველოს ეკონომიკის ნ-პროცენტიანი ზრდა მხოლოდ იმ შემთხვევაში

კანონს ახალი დამსვენები სჭირდება

შეიძლება მიიღწეს, თუკი წლის დარჩენილ დროში ყოველთვიური საშუალო ეკონომიკური ზრდა არანაკლებ 8,7 პროცენტისა იქნება, თუმცა კი ბოლოდროინდელ სტატისტიკურ დინამიკას თუ გათვალისწინებთ, ამ შედეგის მიღწევა უფრო სასურველთა კატეგორიას განეკუთვნება, ვიდრე რეალურს. გაცილებით უფრო რეალისტურია პროგნოზი, რომ ეკონომიკური განვითარების დონე

დაახლოებით 3-სა და 4 პროცენტს შორის იქნება შემერდეს, მაგრამ საამისოდ ეკონომიკური პოლიტიკას გარკვეული მნიშვნელოვანი კორექტირება სჭირდება.

საქმე ისაა, რომ რამდენიმე თვის წინათ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხაზინა დაგეგმილზე მეტად უნდა შეესვენებოდა, ვიდრე ეს 2013



წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით“ იყო გათვალისწინებული, მაგრამ, საექსპერტო შეფასებით, ეს ასე არ მოხდება. ლაპარაკია, კერძოდ, 1 სექტემბრიდან სიგარეტის აქციზის ლირებულებისა და მინერალურ წყლებზე მოსაკრებლის ზრდაზე. ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირება კი უაღრესად უარყოფითად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალზე, დიდი დარტყმის ქვეშ დააყენებს იმ სოციალურ-ეკონომიკურ ვალდებულებათა შესრულებას, რომლებიც ახალმა მთავრობამ იკისრა. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის განხორციელება, პენსიებისა და შემწეობების გაზრდა, სამომხმარებლო ტარიფების დაკლება და სხვ.

ამდენად, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, არსებობს იმის საშიშროება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში წარმოშობილი დეფიციტის დასაფარავად, მთავრობა, ზოგიერთი გადასახადის გაზრდის გარდა, იძულებული იქნება ან ფულის საბეჭდი მანქანა მეტი სიჩქარით ამუშაოს, რაც მის გაუფასურებას და დეფლაციას გამოიწვევს, ანდა სახელმწიფო სესხი აიღოს, რაც მთელ რიგ მის პოზიტიურ ნამოწვევას მთლად თუ არ გაყინავს, მნიშვნელოვნად შეაფერხებს.

06. 9 83

ჭიდაობა

ეპროკული უძღები მსოფლიოზე გააუმჯობესეს

სირბულზე ზრენიანში დამთავრდა ასალგაზრდა ფალანგანთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ნაკრების მთავარი მწვრთნელის - ემზარ ბედიანიშვილის შეგირდთაგან განსაკუთრებით რამაზ ზოიძემ (58 კგ) იყოჩაღა.

მოდლოველი მაქსიმ საკულტანი (1:3; 5:0), რუსეთელი ურუზბეგ ცო-მარტოვი (9:5) და ბელარუსი დანიანის მაქსიმაუ (8:0). სელიმბა უმთავრესად ფიზიკურად მძლავრი ჩვენებურს მშრალი ანგარიშით. 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში იმედები გაამართლა ირაკული მხეიძემ. პირველ წრეში ქართველმა მოჭიდავემ იოლადა აჯობა უნგრელ რიჩარდ ვილჰელმს (9:1 ორ წუთში), მაგრამ შემდეგ ვეროპის წლებანდელ მესამე პრიზიორ მახირ ამირასლანოვთან (აზერბაიჯანი) დამარცხდა - 4:8; 0:4. ჩვენი მეზობელი ფინალში გავიდა და ჩვენებურმაც დამამშვიდებელ ჯგუფში იასპარეზა, სადაც ბრინჯაოსთვის პაექრობაში პოლონელ პატრიკ ოლენცის სუფთად მოუგო - 8:0 პირველსავე პერიოდში.



ქართველოს დელეგაციას გივი მაჭარაშვილი (100) მოუტანა: ლიტველ დენის ნედობორს ქულის დაუკარგავად აჯობა, თუმცა მე-2 წრეში მომავალ ჩემპიონ ზნაურ კოჩიევს 0:6 დანებდა. დამამშვიდებელში მან ჯერ ინდოელი გურსევაკ სინგჰი (3:0; 5:3) დაჯაბნა, მერე - სომეხი მერუჟან ნიკოიანი (1:0; 5:0) და მესამე ადგილზე გავიდა. წლეულს ემზარ ბედიანიშვილის შეგირდებმა ევროპის პირველობაზეც სამი მედალი დაიმსახურეს, ოღონდ სამივე ბრინჯაოსი, მსოფლიოს პირველობაზე კი რაოდენობრივად ვერა, მაგრამ ხარისხობრივად ოდნავ წინ წაიწიეს.

ლემსო ცინცაძე

კალათბურთი

სლოვენური მედლების პრეზენტაცია



2013 წლის ევროპის ჩემპიონატის ელჩებმა სპეციალურ პრეზენტაციებში წარადგინეს. სლოვენიაში დაგეგმილი ტურნირის ჯილდოები ცელიეს საიუველირო ფაბრიკაში დამზადდა და თითოეული 210 გრამის იონის, მათი დიამეტრი კი 80 მილიმეტრია.

ასევე ორივე მხარის დაახლოებით ნახევარი კალათბურთის ბურთით „ხაოიანი“, გაფორმება კი ამ გვარია: ცალ მხარეს ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქების - ცელიეს, იესენიცეს, კოპერის და ლიუბლიანას სახელებია ჩამოწერილი და იქვე ევროპას კეტის ლოგოცაა, მეორე მხარეს კი - წარწერა: ევროპას კეტი, სლოვენია 2013.

„მედლებს ნებისმიერი რანგის ჩემპიონატისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მათ მხოლოდ საუკეთესო სპორტსმენები იღებენ. ამდენად, მათ დამზადებას დიდ ყურადღებას ვაქცევდით“, - განაცხადა ევროპის ჩემპიონატის გენერალურმა მდივანმა ალენკა შკრებიჩმა.

ვიტალი ჯაფარიძე

ფეხბურთი

ბეილის პრეზენტაცია სადღიოსოდ გადმოიღო

ბრბ და არ დაადგა საშველი გარეტი ბეილის ტრანსფერის ოფიციალურად გამოცხადებასა და ფეხბურთელის საზოგადოების წინაშე წარდგინას. The Telegraph-ის ცნობით, 24 წლის უელსელი შაბათიდან მადრიდში იმყოფება, მაგრამ პრობლემა საორგანიზაციო საკითხებშია.

ინტერნეტიდან

იგნასიო აბატე თავის „სისპეტაკეში“ გვარჯიშუნებს

„მომზადება“ და იტალიის საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელი იგნასიო აბატე ირწმუნება, რომ მას თავისი მეუღლისთვის ფოსინია აბატესთვის არასდროს უღალატია და იმასაც ამბობს, თუკი ვატი ცოლის ღალატს გადაწყვეტს, მაშინ ჯობს საერთოდ გაშორდეს მას.



როსტომ რაჭველიშვილი

გიორგი შოთაძე



როგორ

მეორე ადგილით დასრულდა

სანატ-პეტირბურში დასრულდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) წარმატებით იასპარეზა თბილისელმა სოფიო შაფათავამ, რომელიც მე-4 ნომრად იყო განთესილი და ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია: რუს ალექსანდრა არტამონოვას (6:3, 6:1), ნორვეგიელ ულრიკე ეიკერის (7:6, 7:5), ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ მარინა მელნიკოვას (6:4, 7:5), უკრაინელ სოფია კოვალეცს (6:7, 6:2, 6:2) და გადამწყვეტ შეხვედრაში ტურნირის მე-6 ნომერ პოლინა ვინოგრადოვასთან (რუსეთი) დამარცხდა - 4:6, 6:7. საბოლოოდ შაფათავამ მე-2 ადგილი დაიკავა და 34 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.



ლაზა დიდა

რალი

დანი სორდო პირველად მოიგო WRC რბოლა

შპში ათი წელია, რაც ესპანელი დანი სორდო რალის მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობს, პირველი გამარჯვება კი გერმანიაში მოიპოვა. არადა, იმ 106 რბოლიდან, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო, თითქმის მესამედს - 34 გვარცხლბეკზე დაასრულა. კატრგა სანს მას „სიტროენი“ სებასტიან ლოების მემკვიდრედაც კი თვლიდა, მაგრამ ამ პოტენციალის რეალიზება აქამდე იმაველოების „წყალობით“ ვერ ხერხდებოდა.

გადააბარა, რომელიც დღის ბოლოს ნოივილს მხოლოდ 0.8 წამს უგებდა. რბოლის ბოლო დღეს დრამა ბოლო სპეცმონაკვეთზე გათამაშდა. მართალია, მოგება ვერ შეძლო, თუმცა ნოივილმა ამ შედეგით ადგილის დასაკუთრება, რომელსაც მანამდე ლატვიასთან იყოფდა. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში ნოივილის ანგარიშზე უკვე სამი მეორე და ერთი მესამე ადგილია. არადა, WRC-ში პირველ სრულ სეზონს ატარებს. კვლავ შესანიშნავია.



ბელგიელ ტიერი ნოივილთან, რომელსაც ბოლო სპეცმონაკვეთის მიწურულს შეცდომას მოუვიდა და ამით გამარჯვების შანსი დაკარგა. აღნიშნული სპეცმონაკვეთის წინ ესპანელი მხოლოდ სამი წამს იგებდა, საბოლოოდ კი 5:3 წამი მოიგო. არადა, ამ სპეცმონაკვეთის განმავლობაში ნოივილს ორჯერ ჰქონდა გასწრების რეალური შანსი.

ნავად იასპარეზა რობერტ კუბიცამ, ვინც თავის კლასში (WRC2) იმარჯვა, აბსოლუტურში კი მე-5 ადგილს დასჯერდა. მოსალოდნელია, რომ მომავალ სეზონში, თუ პოლონელი რალიში დარჩენას გადაწყვეტს, „სიტროენი“ მას WRC-ს ეკიპაჟს ჩააბარებს.

მარმანის რალი

1. დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) 3:15:19.400, 2. ტიერი ნოივილი (ბელგია, ფორდი) 00:53.000, 3. მიკო პირვონენი (ფინეთი, სიტროენი) 02:36.100, 4. მარტინ პროკოპი (ჩეხეთი, ფორდი) 08:00.800, 5. რობერტ კუბიცა პოლონეთი, სიტროენი) 09:01.30, მრბოლთა კლასიფიკაცია 1. სებასტიან ოუიე (საფრანგეთი, ფოლკსვაგენი) - 184 ქულა; 2. ტიერი ნოივილი - 109; 3. იარი-მატი ლატვალა - 98; 4. დანიელ სორდო - 96; 5. მიკო პირვონენი - 88; კონსტრუქტორთა თასი ფოლკსვაგენ მტორშპორტი - 262 ქულა; 2. სიტროენ ტოტალ აბუ დაბი WRT - 236; 3. კატარ WRT - 127.

მანუარ გიორგაძე

უცხოური გამოცდილება

იმის, რასაც ჩვენი ექიმები „დისბან-სერიზაციას“ უწოდებენ, საზღვარგარეთ „სკრინინგად“ ნათლად...

ნელოდ, მაგრამ მუდმივად იზრდება, ინფარქტებისა და ინსულტების საფრთხე საგრძობად იზრდება...

საძლოა, ნაკლები იყოს იმ შემთხვევაშიც კი, როცა სისხლში იგი საკმაოდ არის. სკრინინგული მეთოდების სტრუქტურაში უნიშვნელოვანნი...

სკრინინგები ამერიკულად

რით განსხვავდება ჩვენსური დისბანსარიზაცია უცხოურისგან



პირველი სკრინინგული პროცედურა არტერიული წნევის გაზომვა. ამერიკელი თერაპევტები...

და ცილები ულტრაიის სხივით სკანირების წარმომადგენლებს სისხლის ბიოქიმიურ ანალიზს უნიშნავენ...

საშვილოსნოს ყელის კიბოს წარმოშობის წინა ცვლილებათა დასადგენად ნაცხს 25-დან 64 წლამდე ყველა ქალს უღებენ...

ჩვენი პრესლაიფსტი

კაპიტალიზმის ვაჭარობა



„ალასანის პრეზიდენტობის სურვილი თუ ამის, შანსებიც ამის“ საპრეზიდენტო კანდიდატა სიას, შესაძლოა, კიდევ ერთი კანდიდატი შეემატოს...

რუსთაბა ცინცხალა ჩინოვნიკაზა

მ. წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის ყოფილი მალაჩინოსნები...

ივანეზა პანკირაძის ბატაცევა

უცხოეთში მყოფი ერთერთი მსხვილი კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც არის კავკასიური წარმოშობის, გეგმავს ორი მსხვილი ბანკირის...

ინტერვიუ ლალი მოროშინასთან

მოროშინა სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“ ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვის მცდელობაში...

ცინცხალი ანეკდოტები

ორი მეთევზე, როგორც ყოველთვის ერთმანეთს ესაუბრება. გუშინ, ის იყო ანგვის გადაგადე და უცებ ნავიანად გამოიტაცა...

— ისეთი თავშესაქცევი იყო, რომ კითხვისას ორი კოლოფი სიგარეტი შემომენია. — წარმოგიდგინია რამდენჯერაც თბილისის „დინამო“ წააგებს ჩემი ძალი იმდენჯერ სალტოს აკეთებს...

კადრი



Advertisement for Sakartvelos Respublika newspaper, including contact information, subscription rates, and a barcode.